2010-2011 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამის სტუდენტთათვის სწავლის საფასურის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის №27/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორის, ზურაბ ოშხნელის 2010 წლის 14 სექტემბრის №03-8658/10 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2010-2011 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის დაიშვას გამონაკლისი და სტუდენტებს მიეცეთ საშუალება, სასწავლო წლის საფასური გადაიხადონ 2 თანაბარ ნაწილად.
2. 2010 წლის 1 ოქტომბრამდე უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა გადაიხადონ სწავლის საფასურის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი 2011 წლის 1 თებერვლამდე.
3. ამ ბრძანებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტებზე გავრცელდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის №03-538 ბრძანება „2010 წელს და 2010 წლის შემდეგ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის წესის“ შესახებ.
4. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უზრუნველყონ ამ ბრძანების გამოქვეყნება საჯარო გაცნობისათვის.
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, წინამდებარე ბრძანება მიაწოდოს იურიდიულ სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპრტამენტს, ფინანსურ სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს და ფაკულტეტებს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო რატიანი